

სს „ლიბერთი ბანკის“ ანონიმური მხილების პოლიტიკა

სს ლიბერთი ბანკი (შემდგომში „ბანკი“ ან „ლიბერთი ბანკი“) მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობა წარმართოს ეთიკის პრინციპების საფუძველზე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. „ბანკი“ ხელს უწყობს და ამასთან, აქვს მოლოდინი, რომ აქციონერები, თანამშრომლები, კონტრაქტორები, ჯგუფში შემავალი კომპანიები, ბიზნეს პარტნიორები და „ბანკთან“ საქმიან ურთიერთობაში მყოფი სამოქალაქო საზოგადოების ის წევრები, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი შენიშვნები „ბანკის“ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით, ღიად დააფიქსირებენ აღნიშნულ შენიშვნებს. „ბანკის“ ეთიკისა და ქცევის სტანდარტების კოდექსი ყველა თანამშრომელს ავალდებულებს, მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას იმოქმედონ ერთიანობის პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად, წინამდებარე ანონიმური მხილების პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პოზიტიური კულტურის დასამკვიდრებლად, რომელშიც თანამშრომლები იცავენ „ბანკის“ სამოქმედო პოლიტიკებს და პატივს სცემენ ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას.

„პოლიტიკა“ ადგენს პროცედურას, რომელიც უნდა დაიცვას „მამხილებელმა“ (როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული) კანონის, რეგულაციის, „ბანკის“ შიდა პოლიტიკის, სტანდარტების ან პროცედურების შესაძლო დარღვევის, ან ასეთი დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობის საფუძველზე შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებისას.

წინამდებარე „პოლიტიკა“ არ ლახავს „მამხილებლისთვის“ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს და არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას, რეგულაციებსა და მათგან გამომდინარე უფლებებს. გარდა ამისა, „პოლიტიკის“ მიზანს არ წარმოადგენს და შესაბამისად, იგი არცერთი ფორმით არ უკრძალავს ან ზღუდავს „მამხილებელს“, მოახდინოს პირდაპირი კომუნიკაცია, ითანამშრომლოს, გასცეს პასუხი საგამომიებო ან სხვა ორგანოს, უწყების ან დაწესებულების, უცხო ქვეყნის მარეგულირებელი, საგამომიებო ან სხვა ორგანოს, ასევე მარეგულირებელი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ შესაძლო დარღვევის, ან ასეთი დარღვევის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობისას ჩატარებულ გამოკითხვაზე.

„პოლიტიკის“ მიზანს წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა რომ ნებისმიერმა „მამხილებელმა“ თავისუფლად, რეპრესიის შიშის გარეშე შეძლოს არსებითი ხასიათის ნებისმიერი შემთხვევის დაფიქსირება და გააჩნდეს იმის რწმენა, რომ მის მიერ დაფიქსირებული ფაქტები აღიქმება სერიოზულად და სათანადოდ და კონფიდენციალურობის დაცვით იქნება გამოკვლეული. ნებისმიერი პირს, რომელიც წინამდებარე „პოლიტიკის“ შესაბამისად განახორციელებს მხილებას, აქვს გარანტიები, რომ „ლიბერთი ბანკი“ დაიცავს „მამხილებლის“ კონფიდენციალურობას, შესაბამისად, მას არ უნდა ჰქონდეს სამაგიეროს გადახდის ან/და შემდგომი დისკრიმინაციის შიში. წინამდებარე „პოლიტიკა“ არ წარმოადგენს შრომითი ან/და მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და „ბანკი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეიტანოს მასში ცვლილებები.

1. მხილებისთვის საჭირო მოთხოვნები და პროცედურები:

- 1.1. ანონიმური მხილების პოლიტიკის ზოგადი მართვა ხორციელდება აუდიტის კომიტეტის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მართვაზე ზედამხედველობას;
- 1.2. „პოლიტიკის“ დანერგვასა და ყოველდღიურ მართვაზე პასუხისმგებელია შესაბამისობის სამსახური, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეული, აუცილებლობის შემთხვევაში „ბანკის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
- 1.3. წინამდებარე „პოლიტიკის“ მიზანია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გამოხატული შენიშვნების დარეგულირება, როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული და იგი არ აწესრიგებს კონკრეტული პირის შრომით პირობებთან, შრომითი ურთიერთობის სხვა ასპექტებთან, ან დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებს;
- 1.4. „ბანკი“ შესაბამის პირებს მოუწოდებს, განახორციელონ მხილება ნებისმიერი შესაძლო დარღვევის ჩადენის, დარღვევის მიმდინარეობის ან სამომავლო დარღვევის შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული დარღვევა მოიცავს:
 - i. კანონს, წესებსა და რეგულაციებს, რომელიც ვრცელდება „ბანკზე“;
 - ii. „ლიბერტი ბანკის“ შიდა პოლიტიკებს, მათ შორის შეზღუდვის გარეშე, შიდა ბუღალტრული და აუდიტის საკითხები, დარღვევის/შესაძლო დარღვევის მხილების ან ასეთის გამოკვლევაში მონაწილეობის გამო სამაგიეროს გადახდის მოტივით ჩადენილი ქმედებები, შეუფერებელი ან/და არაეთიკური საქციელი;
 - iii. ფინანსური ან არაფინანსური ხასიათის არასათანადო მართვას, თაღლითობასა და კორუფციულ ქმედებებს;
 - iv. ინდივიდის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს (მათ შორის პოტენციურ რისკებს);
 - v. გარემოსთვის ზიანის მიყენებას; ან
 - vi. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაციის შენიღბვისა და ჩახშობის მცდელობებს.
- 1.5. დარღვევის ფაქტი ან მისი შესაძლო ჩადენის შესახებ ეჭვი უნდა ემყარებოდეს გონივრულ გარემოებებს;
- 1.6. თუ საქმის გარემოებების მოკვლევისას გამოიკვეთება წინამდებარე „პოლიტიკის“ შესაბამისად განხორციელებული მხილებისას თანამშრომლის მიერ განზრახ ჩადენილი გადაცდომა, „ბანკის“ მხრიდან მიღებული იქნება შესაბამისი დისციპლინური ზომები.

2. ვინ არის მხილებაზე უფლებამოსილი: „მამხილებლის“ განმარტება

- 2.1. წინამდებარე „პოლიტიკის“ მიზნებისთვის, „მამხილებელი“ გულისხმობს თანამშრომელს, რომელიც გონივრული განსჯის ფარგლებში თვლის, რომ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის გადაცდომას 1.4 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების გათვალისწინებით. აღნიშნულ შემთხვევაში „მამხილებელი“ ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ ქვემოთ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. მხილება უნდა განხორციელდეს ბოროტი განზრახვის გარეშე და არ უნდა ემყარებოდეს გავრცელებულ ჭორებს. პირს, რომელიც მიმართავს მხილებას, თავად უნდა სჯეროდეს რომ მხილებაში აღნიშნული ინფორმაცია და ბრალდებები შეესაბამება სიმართლეს;

2.2. „ბანკი“ არ დაუშვებს მხილებას პირადი გამორჩენის მიზნით და შესაბამისად, არ წახალისებს აღნიშნული მიზნით ინფორმაციის მიწოდებას.

3. მხილების პროცედურა

3.1. მხილება შესაძლო დარღვევის შესახებ შესაძლებელია განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე საშუალების გამოყენებით:

- i. უშუალო ხელმძღვანელი ან დეპარტამენტის უფროსი. შესაძლო დარღვევის ან ასეთი დარღვევის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობისას შეტყობინება შეიძლება მიეწოდოს უშუალო ხელმძღვანელს, დეპარტამენტის უფროსს, ფილიალის ან/და სერვის ცენტრის ხელმძღვანელ პირს ან/და რეგიონალურ დირექტორს. წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირები დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ მათთვის ცნობილი ინფორმაციისა და ფაქტების შესაბამისი დეპარტამენტისთვის სრულად მიწოდებას „პოლიტიკით“ განსაზღვრული წესით;
- ii. მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები. შესაძლო დარღვევის ან ასეთი დარღვევის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობისას შეტყობინება შეიძლება მიეწოდოს მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლებს, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ან ანალოგიური ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე სხვა მენეჯერს;
- iii. კონფიდენციალური ელექტრონული ფოსტა. შესაძლო დარღვევის ან ასეთი დარღვევის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობისას შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს ქვემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომლის შინაარსი არის მკაცრად კონფიდენციალური:

Whistleblowing@lb.ge

3.2. იმ შემთხვევაში, თუ „მამხილებელი“ მიუთითებს საკუთარ ვინაობას, „ბანკი“ აღნიშნულ ინფორმაციას შეინახავს როგორც კონფიდენციალურს;

3.3. როდესაც „მამხილებელი“ გაგზავნის შეტყობინებას, მისი ვინაობა (თუ გამჟღავნებულია) და მიწოდებული ინფორმაცია გაზიარებული იქნება შესაბამისი რეაგირებისთვის საჭირო ფარგლებში, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით ან „მამხილებლის“ თანხმობით.

4. მხარდაჭერა და დაცვა

4.1. „ბანკი“ მიიღებს სათანადო ზომებს „მამხილებლისთვის“ (არ იგულისხმება ყოფილი თანამშრომლები) სათანადო პირობების შექმნისა და მხილებასთან დაკავშირებული შესაძლო რეპრესიებისგან მის დასაცავად იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგვიანებით დადგინდება რომ მხილება იყო არასწორი ან დაუსაბუთებელი;

4.2. „ბანკი“ ასევე უზრუნველყოფს იმ „მამხილებელთა“ ინტერესების დაცვას, რომლებიც ფაქტების გამოკვლევისას ნებაყოფლობით მიაწვდიან დამატებით ინფორმაციას, ან რომელთაც წარედგინებათ მოთხოვნა დარღვევის გამოკვლევასთან დაკავშირებით რაიმე სახის დახმარების გაწევის შესახებ. „ბანკი“ იქნება შეუწყნარებელი „მამხილებლის“ (არ იგულისხმება ყოფილი თანამშრომლები) მიმართ განხორციელებული ნებისმიერი სახის რეპრესიის ან ასეთი

რეპრესიის მუქარის მიმართ, როდესაც აღნიშნული ქმედებები მიმართულია ისეთი „მამხილებლის“ წინააღმდეგ, რომელმაც განახორციელა ან შესაძლოა განახორციელოს მხილება, ან წინამდებარე „პოლიტიკის“ შესაბამისად, დახმარება გაუწია „ბანკს“ დარღვევის ფაქტის გამოკვლევაში;

4.3. ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც მიმართავს რეპრესიული ხასიათის ქმედებას, ან ასეთი ქმედების მუქარას, გამოყენებული იქნება დისციპლინური ზომები, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შრომითი ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტა. გარკვეულ გარემოებებში, „მამხილებლის“ დაზარალებულად ცნობისას შესაძლოა დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

5. გამოკვლევა

5.1. დარღვევის შესახებ მხილების შემთხვევაში ფაქტების გამოკვლევა განხორციელდება კონფიდენციალურობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების საფუძველზე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ობიექტური ექსპერტების მონაწილეობით. გამოკვლევაში მონაწილე თანამშრომლები არ უნდა იყვნენ დაკავშირებული იმ ფაქტებთან და შემთხვევასთან, რომლის გამოკვლევაც ხორციელდება;

5.2. გამოკვლევასთან დაკავშირებული ყველა ანგარიში, დოკუმენტი და ჩანაწერი შენახულ უნდა იქნას სათანადოდ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი კონფიდენციალურობის დაცვა;

5.3. „მამხილებელს“ ეცნობება გამოკვლევის მიმდინარეობისა და შესაბამისი შედეგების შესახებ. სპეციფიური დეტალები, რომელიც შესაძლოა ეცნობოს „მამხილებელს“, შესაძლოა განსხვავდებოდეს და დამოკიდებულია კონკრეტულ გამოსაკვლევ შემთხვევაზე. გამოკვლევასთან დაკავშირებით დასკვნის მიღებისას „მამხილებელს“ ეცნობება შესაბამისი რეზულტატის შესახებ;

5.4. ნებისმიერი თანამშრომელი, რომლისთვისაც არ არის მისაღები მის მიერ განხორციელებულ მხილებასთან დაკავშირებით „ბანკის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება და რომელიც გონივრული განსჯის ფარგლებში თვლის, რომ მიწოდებული ინფორმაცია და მასში მითითებული ფაქტები ასახავს სიმართლეს, უფლებამოსილია პირდაპირ მიმართოს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს;

5.5. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით განხორციელებული მხილებისა და მენეჯმენტის მიერ მიღებული შესაბამისი ზომების შესახებ „ბანკის“ აუდიტის კომიტეტს წარედგინება ანგარიში ექვს თვეში ერთხელ.

6. „პოლიტიკის“ გაცნობადობა

6.1. წინამდებარე „პოლიტიკა“ ხელმისაწვდომია „ბანკის“ ნებისმიერი თანამშრომლისთვის და განთავსებულია „ბანკის“ ვებგვერდზე;

6.2. „პოლიტიკა“ შესაძლებელია მიეწოდოს ჩვენს მომხმარებლებს, კონტრაქტორებს, ქვეკონტრაქტორებს, აგენტებსა და შუამავლებს;

6.3. მენეჯერებს აკისრიათ სპეციალური მისია, ხელი შეუწყონ „პოლიტიკის“ ოპერირებას და დარწმუნდნენ რომ თანამშრომლებს ნამდვილად აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ დარღვევის ფაქტები რეპრესიის შიშის გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია „პოლიტიკით“;

6.4. ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაგებით მოეკიდოს და დაიცვას წინამდებარე „პოლიტიკა“ და „ბანკის“ საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები. იმ

- შემთხვევაში, თუ თანამშრომელს გააჩნია კითხვები „პოლიტიკის“ მოქმედებასთან დაკავშირებით, მას შეუძლია მიმართოს შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ან ანალოგიური ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე სხვა მენეჯერს. წინამდებარე „პოლიტიკის“ მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური ზომების მიღება;
- 6.5. თუ ნებისმიერი პირისთვის ცნობილი გახდება თანამშრომლის, „ბანკთან“ დაკავშირებული პირის ან სხვა ისეთი პირის მიერ წინამდებარე „პოლიტიკის“ დარღვევის ფაქტი, რომელიც საქმიანობას წარმართავს „ლიბერტი ბანკის“ სახელით, ან აღნიშნულთან დაკავშირებით გაუჩნდება გონივრული ეჭვი, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ან ანალოგიური ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე სხვა მენეჯერს;
 - 6.6. თანამშრომელს არ აქვს უფლება, მიუხედავად დროის პერიოდისა, გაანადგუროს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს წინამდებარე „პოლიტიკის“ დარღვევის ფაქტის გამოკვლევასთან დაკავშირებით, ან გაუმხილოს აღნიშნულის შესახებ ნებისმიერ პირს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აღნიშნულ გამოკვლევაზე;
 - 6.7. ნებისმიერი ზემოაღნიშნული მხილება „ბანკის“ მიერ მიჩნეულ იქნება კონფიდენციალურად და მასზე უზრუნველყოფილ იქნება სწრაფი და სათანადო გამოკვლევის ჩატარება;
 - 6.8. „ბანკი“ შესაძლოა დაუკავშირდეს გარე ექსპერტებს, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ ორგანოებს მიაწოდოს შესაბამისი ანგარიშები;
 - 6.9. წინამდებარე „პოლიტიკა“ მოქმედებს „ბანკის“ სხვა შესაბამის პოლიტიკებთან ერთად.